

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ აცხადებს ტენდერს ყულევის ნავთობტერმინალში ნავთობროდუქტების მიღებისას მომსახურების თაობაზე

ტენდერის პირობები

თავი I. ზოგადი მიმოხილვა

- ნავთობპროდუქტების მიღების ადგილი :
 - *საზღვაო მარშუტით ტრანსპორტირებისას* - ყულევის ნავთობტერმინალი;
- შესასრულებელი სამუშაო: ნავთობპროდუქტების მიღებისას კომპანიის სარგებლობაში არსებულ რეზერვუარებში, რკინიგზის ვაგონების ტერმინალებში, შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს კუთვნილი ტვირთების ინსპექტირება.
- საიმპორტო ნავთობპროდუქტების სავარაუდო წლიური რაოდენობა - განუსაზღვრელი
- ხელშეკრულების ვადა - 2 წელი

შენიშვნა: პრეტენდენტს სატენდერო წინადადების წარდგენამდე შეუძლია ობიექტების დათვალიერება. სამუშაოს წარმოებისას პრეტენდენტის მხრიდან დაცული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ტექნიკური და შრომის უსაფრთხოების ყველა ნორმა, რაც ცალსახად წარმოადგენს პრეტენდენტის ვალდებულებას და პასუხისმგებლობას.

თავი II. სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. ზოგადი ნაწილი

1. კომპანიის (პრეტენდენტის) რეკვიზიტები:

- აუცილებელი პირობა - პრეტენდენტი უნდა იყოს რეზიდენტი კომპანია.
- კომპანიის სრული დასახელება
- იურიდიული მისამართი
- ფაქტობრივი მისამართი
- ტელ., ფაქსი, ელ-ფოსტა
- საკონტაქტო პირი
- საბანკო რეკვიზიტები
- მონაცემები კომპანიის ხელმძღვანელი პირების შესახებ

2. ტენდერში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი საკვალიფიკაციო დოკუმენტები:

- ამონაწერი კომერციული(სამეწარმეო) რეესტრიდან პრეტენდენტის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა გადახდისუნარიანობის შესახებ;
- შესაბამისი ორგანოების ცნობა ლიკვიდაცია-რეორგანიზაციის არარსებობის თაობაზე;
- ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ ;
- ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესახებ.
- პრეტენდენტის ინსტრუქცია - ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი

3. კომერციული წინადადება

- მომსახურების ღირებულება - შესრულებული სამუშაოს ერთ მეტრულ ტონაზე გაანგარიშებით აშშ დოლარში დღგ-ს გარეშე.

4. ტექნიკური წინადადება

- განსახორციელებელი სამუშაოების ქრონოლოგიის აღწერა (ვადების მითითებით).

სატენდერო პროცედურები

1. ტენდერის ჩატარება ორ ეტაპად, ღია ვაჭრობით.

- 1.1 ტენდერის ჩატარების თარიღი - 2018 წლის 09 ოქტომბერი 15:00 სთ.
- 1.2 ტენდერის ჩატარების ადგილი - ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო. გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს ოფისი.
- 1.3 ტენდერში მონაწილეებმა 2018 წლის 03 ოქტომბერი 10:00 -იდან 12:00 -მდე დალუქულ კონვერტებში უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება თანმხლებ წერილთან (დანართი 1) ერთად. პრეტენდენტის კონვერტები წარმოდგენილი უნდა იყოს „პრეტენდენტის ინსტრუქციის“ 12.3 მუხლის შესაბამისად. კონვერტებზე მითითებული უნდა იყოს პრეტენდენტის დასახელება და მასში არსებული მასალის აღნიშვნა.
- 1.4 მონაწილეების მიერ კონვერტები წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ოფისი.
- 1.5 ტენდერში მონაწილეობას ღებულობს პრეტენდენტი ორგანიზაციიდან არაუმეტეს 2 წარმომადგენელი.
- 1.6 კომერციული წინადადებების კონვერტები გაიხსნება ტენდერზე რის შემდეგაც პრეტენდენტებს შორის გაიმართება ვაჭრობა.

განსაკუთრებული პირობები

1. ხელშეკრულება დაიდება იმ პრეტენდენტთან რომელიც სრულად დააკმაყოფილებს სატენდერო კომიტეტის მოთხოვნას.
2. ხელშეკრულება გამარჯვებულთან გაფორმდება ღია ვაჭრობის დასრულებიდან და სატენდერო კომიტეტის გადაწყვეტილებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
3. თუკი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები იქნება არასწორი ან არასრულყოფილი იგი იქნება დისკვალიფიცირებული.
4. წინადადებების განხილვისას, საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებას იტოვებს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია. პრეტენდენტის მიერ მითითებულ ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში იგი ჩაითვლება დისკვალიფიცირებულად.
5. პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადების მომზადების პროცესში გაწეული ხარჯები კომპანიის მიერ არ ანაზღაურდება, მიუხედავად იმისა დაიდება თუ არა ხელშეკრულება.
6. კომპანია არ არის ვალდებული პრეტენდენტებს განუმარტოს თავისი გადაწყვეტილების საფუძველი ტენდერის ჩაშლასთან ან საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით.
7. კომპანია არ იღებს ვალდებულებას აუცილებლად დადოს ხელშეკრულება კონკურსში მონაწილე რომელიმე პრეტენდენტთან.

საკონტაქტო პირი:

შავლეგ მიშველაძე

მობ : 599 711 177